

საქართველოს ეროვნული ბანკი

# ინფლაციის მიმოხილვა

2007 წ. III კვარტალი



# შინაარსი

<b>1</b>	<b>სამომხმარებლო ფასების ცვლილება</b>	<b>5</b>
	ჩანართი 1 – ნავთობის გავლენა მსოფლიო ფასებზე	8
<b>2</b>	<b>ინფლაციის ფაქტორები</b>	<b>9</b>
2.1	მონეტარული აგრეგატების დინამიკა	9
	ფართო ფული	10
2.2	საბანკო სექტორი	11
2.3	სავალუტო ბაზარი	14
	ჩანართი 2 – წარმოადგენს თუ არა საოპერაციო დანაკარგები პრობლემას ეროვნული ბანკისათვის?	17
2.4	ეკონომიკის საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი	18
	ჩანართი 3 – საგადასახდელო ბალანსი	21
2.5	გამოშვება და მოთხოვნა	21
	გამოშვება	21
	შინამეურნეობის მოხმარება	22
	სახელმწიფო მოხმარება	23
	ინვესტიციები	23
	გადასახადები	24
	შრომის პროდუქტიულობა, ხელფასები	25

<b>3 ინფლაციის პროგნოზი</b>	<b>26</b>
<b>დანართი</b>	<b>28</b>
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის დინამიკა 2002-2007 წლებში	28

# სამომხმარებლო ფასების სვლილება

# 1


წლიური ინფლაცია მიმდინარე წლის სექტემბერში 9.0 პროცენტამდე გაიზარდა. უმნიშვნელოდ შემცირდა საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი და 8.8 პროცენტი შეადგინა. 2006 წლის დეკემბრიდან 2007 წლის სექტემბრამდე პერიოდში ფასების მაგება 6.2 პროცენტს გაუტოლდა. წლიურ ინფლაციაში 3.1-პროცენტიანი წვლილი ეგზოგენურმა ფაქტორებმა შეიტანა.

წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები 5.56 და 5.25 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროლექტებისათვის. მართალია, საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები სამომხმარებლო ფასების ბრლის ღონეზე დაბალია, მაგრამ წინა თვეებთან შედარებით მათი მაგება ყურადსაღები ფაქტია.

ფასის 8.2-პროცენტიანი შემცირება არის დაფიქსირებული ტანსაცმელზე. პრაქტიკულად, უცვლელია ფასები კავშირგაბმულობის სექტორში და საოჯახო ნივთებსა და მოწყობილობაზე. ბოშიერ ფარგლებშია ფასების ბრლა სამომხმარებლო კალათის შემდეგ ჯგუფებზე: „სურსათი და უალკოჰოლო სასმელები“ (5.9 პროცენტი), „ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო“ (1.2 პროცენტი). ფასებმა მოიმატა ასევე „ჯანმრთელობის დაცვისა“ (6.4 პროცენტი) და „გრანსპორტის“ ჯგუფებში (10.1 პროცენტი)<sup>1</sup>. 2007 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში ფასების ყველაზე მნიშვნელოვანი ბრლა დაფიქსირდა ჯგუფში „საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ (21.7 პროცენტი), რაშიც უმთავრესი წვლილი ბუნებრივი გაზის, ცივი წყლისა და ნაგვის გაგანის გადასახადების გაზრდამ შეიტანა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ხანმოკლე მოხმარების საქონლისათვის (9.6 პროცენტი). კიდევ უფრო მაღალია წლიური ინფლაციის მაჩვენებელი მომსახურებისათვის (11.1 პროცენტი). ასეთი შედეგი, სავარაუდოდ, ხანმოკლე მოხმარების საქონელზე ფასების ბრლის შენელებით და მომსახურების ფასების ბრლის საქონლის ფასების ბრლასთან შედარებით ღრომში ჩამორჩენით არის განპირობებული.

ბრაზიკი 1.1  
თხის ინფლაცია 2007 წლის პირველ ცხრა თვეში



\* ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროლექტების (~85%) მიხედვით.  
\*\* ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროლექტების (~93%) მიხედვით.

<sup>1</sup> იგულისხმება არამარტო საქალაქო აგროკომპლექსებითა და მეტროპოლიტენით მგზავრობის ფასები, არამედ გრანსპორტზე ფასების საშუალო ბრლა, მათ შორის, სხვა ტიპის გრანსპორტზეც, მაგ., ქალაქის მიგნით ტაქსიზე, მიკროავტობუსზე, სავარეუბნო და საქალაქთაშორისო გრანსპორტზე და ა. შ.

ცხრილი 1.1

ინფლაციის (სფი) მანქანებში ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნტი)

	2006 წ. ლექმბერი	სექტემბერი-2007 / აგვისტო-2007		სექტემბერი-2007 / სექტემბერი-2006		ოქტომბერი-2006 - სექტემბერი-2007 / ოქტომბერი-2005 - სექტემბერი-2006	
	წილი	ინფლაცია	წილი	სექტემბერი-2007 / სექტემბერი-2006	წილი	ინფლაცია	წილი
<b>სულ</b>	100.0%	1.2%	1.2%	9.0%	9.0%	8.8%	8.8%
<b>სურსათი და უალკოჰოლო სასმელები</b>	44.3%	1.9%	0.9%	12.1%	5.2%	12.5%	5.4%
სურსათი	43.0%	2.0%	0.8%	12.4%	5.2%	12.8%	5.3%
პური და პურპროდუქტები	12.2%	0.9%	0.1%	22.4%	2.6%	9.4%	1.1%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.6%	0.3%	0.0%	-0.8%	-0.1%	3.0%	0.2%
თევზი	1.1%	1.3%	0.0%	17.7%	0.2%	9.6%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	5.2%	14.2%	0.6%	0.3%	0.0%	10.6%	0.5%
ზეთი და ცხიმი	3.5%	15.5%	0.5%	25.5%	0.9%	6.8%	0.2%
ხილი, ყურძენი	2.3%	-7.0%	-0.3%	121.5%	2.5%	93.8%	1.8%
ბოსტნეული, ბალახი, კარტოფილის და სხვა ბოლქვიანების ჩათვლით	8.8%	-2.8%	-0.2%	-12.3%	-1.0%	11.8%	1.0%
შაქარი, ჯემი, თაფლი, ვაიყინები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.7%	0.3%	0.0%	-8.2%	-0.2%	-2.5%	-0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	2.3%	0.0%	10.0%	0.1%	8.7%	0.1%
უალკოჰოლო სასმელები	1.3%	1.5%	0.0%	2.2%	0.0%	0.7%	0.0%
<b>ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო</b>	3.7%	-0.5%	0.0%	-0.5%	0.0%	-8.4%	-0.4%
<b>განსაცემელი და ფუნქციონალური სასმელები</b>	5.0%	-0.4%	0.0%	-7.0%	-0.4%	-2.1%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები	10.3%	1.1%	0.1%	21.5%	2.3%	25.6%	2.5%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	3.7%	1.6%	0.1%	2.8%	0.1%	1.6%	0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.0%	1.7%	0.1%	7.4%	0.6%	14.9%	1.1%
გრანსპორტი	9.0%	-0.3%	0.0%	7.6%	0.7%	3.5%	0.3%
კომუნიკაციები	4.4%	0.0%	0.0%	0.9%	0.0%	0.2%	0.0%
ღირებულება, გართობა და კულტურა	2.7%	0.5%	0.0%	6.9%	0.2%	1.3%	0.0%
განიათლება	3.5%	1.5%	0.0%	4.3%	0.1%	3.6%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.4%	-1.7%	0.0%	3.2%	0.1%	6.4%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	3.2%	0.9%	0.0%	4.1%	0.1%	3.5%	0.1%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	68.0%	1.4%	0.9%	9.6%	6.5%	9.4%	6.3%
სამუშაო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	6.5%	0.4%	0.0%	-3.7%	-0.2%	-1.5%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	1.9%	0.2%	0.0%	0.1%	0.0%	0.6%	0.0%
მომსახურება	23.6%	0.9%	0.2%	11.1%	2.7%	9.9%	2.4%

ინფლაციის წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის გამოთვლები.


ცხრილი 1.2

მონეტარული და ვიზუალური ფაქტორებით გამოწვეული ინფლაცია

	2006 წლის წინები	გაძვირება 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის სექტემბრამდე	ეგზოგენური გაძვირების სიჭირბე სამუშაო ინფლაციასთან	წელიწადი
	ეგზოგენური ფაქტორები	18.6%	34.8%	25.8%
ხორბლის თეთრი პური	8.1%	22.2%	22.2%	1.8%
ხორბლის ფქვილი	0.8%	19.2%	19.2%	0.2%
გამა ბუნებრივი	2.0%	42.7%	42.7%	0.9%
გამა თხევადი	0.6%	22.0%	22.0%	0.1%
მშესუმშირის ზეთი	1.9%	37.3%	37.3%	0.7%
ქალაქის შიგნით მგზავრობა ავტობუსით, მიკროავტობუსით და ტაქსით	4.4%	9.4%	9.4%	0.4%
ცივი წყლის გადასახადი	0.5%	80.3%	80.3%	0.4%
ნაგვის გაგანის გადასახადი	0.2%	137.2%	137.2%	0.3%
განსხვავება ინფლაციასა და ცალკეული პროდუქტების მხედვით დათვლილ ინფლაციას შორის				0.6%
ყველა სხვა ფაქტორი (ძირითადად მონეტარული)				3.5%
ყველა პროდუქტი ერთად	100.0%	9.0%		8.3%

ბრაზიკი 1.2


წლიური სწი და საბაზო ინფლაცია (2006 წლის დეკემბრიდან მოქმედი საომომხმარებლო კალათის 282 კომპონენტის მიხედვით)



\* ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროდუქტების (-85%) მიხედვით.  
 \*\* ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროდუქტების (-93%) მიხედვით.


ბრაზიკი 1.3

ფასების ზრდა 2006 წლის დეკემბრის მონაცემების შედარებით



ბრაზიკი 1.4


წლიური ინფლაციის განმეგვარების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე



2005 წლის დეკემბრიდან 2007 წლის სექტემბრამდე ხანმოკლე მოხმარების საქონლის ფასები 16.7 პროცენტით, ხოლო იმავე პერიოდის მომსახურებაზე ფასები 17.6 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ფასებს, მათზე 2005 წლის დეკემბრიდან 2007 წლის აგვისტომდე პერიოდში ფასის 3.4 და 2.4-პროცენტიანი შემცირება არის დაფიქსირებული. ფასების აღნიშნული დინამიკა მოთხოვნა/მიწოდების ფუნქციების ცვლილებებს ასახავს.



ბრაზიკი 2.1.1  
 ვართო ვული



## 2.1 მონეტარული აგრეგატები

2007 წლის III კვარტალში სარემზერვო ფულის მაჩვენებელმა 72.3 მლნ ლარით (5.5 პროცენტი) მოიმაგა და სექტემბრის ბოლოსთვის 1379.8 მლნ ლარი შეადგინა. საანალიზო პერიოდში, თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ჩამოყალიბებული საბაზრო კონიუნქტურის პირობებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენციები ფულად ბაზარზე მაგების მიმართულებით ახლენდა მეგავლენას. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი ჩამოყალიბდა – დახლოებით, 283.0 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. შედეგად, ეროვნული ვალუტა განიცდიდა მეწოლას გამყარების მიმართულებით და ლარის ნომინალური გაცვლის კურსის მცირედი გამყარების პირობებში, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა III კვარტალში 259.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ ინსტრუმენტის მეშვეობით მიწოდებული სალარე რესურსის მოცულობამ 430.6 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, იელის-სექტემბრის განმავლობაში, შიდასამთავრობო კონვერტაციების შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვა 40.5 მლნ აშშ დოლარი (67.2 მლნ ლარი) იყო. შეიძლება ითქვას, რომ, ერთობლიობაში, აღნიშნული ოპერაციების (თბს-ზე განხორციელებული ოპერაციების და შიდასამთავრობო კონვერტაციების) მიხედვით, საანგარიშო კვარტალში მიწოდებულ იქნა, დაახლოებით, 363.4 მლნ ლარი.

III კვარტალში გაგრძელდა მთავრობის დეკომიგებზე თანხების აკუმულირება – ამ ანგარიშებზე სახსრები 85.8 მლნ ლარით გაიზარდა. სექტემბრის ბოლო მონაცემით, მთავრობის დეკომიგების მოცულობა 765.6 მლნ ლარს შეადგენდა. ამ პერიოდში სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო შემოსულობათა ერთიანი ანგარიში 187.7 მლნ ლარით გაიზარდა.

წინა პერიოდის მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული ოპერაციების განხორციელებისას აქტიურად ეყრდნობოდა სადეკომიგო სერვიფიკაციების აუქციონებს. თუმცა, არსებითად გაიზარდა ამ მექანიზმის გამოყენებით აბსორბირებული ლიკვიდობის მოცულობა. სექტემბრის ბოლოსათვის მიმოქცევაში არსებული სადეკომიგო სერვიფიკაციების მოცულობამ 464.1 მლნ ლარი შეადგინა.

საანალიზო პერიოდში ბანკების წმინდა დაგადასახების მოცულობა, იენისის ბოლო მონაცემების მიხედვით, 353.1 მლნ ლარიდან 448.3 მლნ ლარამდე შემცირდა.

გემოაღნიშნული ფულადი ნაკადების ფონზე, 2007 წლის სექტემბრის სარეზერვო ფულის მაჩვენებელი, თვის ბოლო მონაცემებით, 1379.8 მლნ ლარი იყო, III კვარტალში კი მზრდამ 72.3 მლნ ლარი შეადგინა. სარეზერვო ფულის წლიურმა მზრდამ, სექტემბრის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, 25.9 პროცენტით შეადგინა. ამავე პერიოდში მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის მოცულობა 113.7 მლნ ლარით გაიზარდა და 1081.1 მლნ ლარს გაუტოლდა.

**ფართო ფული**

2007 წლის სექტემბერში ფართო ფული M3-ის აგრეგატმა 3708.6 მლნ ლარი შეადგინა და III კვარტალში 460.7 მლნ ლარით (14.2 პროცენტით) გაიზარდა. აღნიშნული განაპირობა როგორც ეროვნული ვალუტით არსებული დეპოზიტების (III კვარტალში გაიზარდა 22.7 პროცენტით), ისე უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობათა (კვარტალური მზრდა 11.1 პროცენტით) მაგებამ. საანალიზო პერიოდში დეპოზიტები უცხოური ვალუტით 178.5 მლნ ლარით გაიზარდა და სექტემბრის ბოლოს 1.780 მლრდ ლარს გაუტოლდა, ხოლო ეროვნული ვალუტით დეპოზიტების მოცულობამ 180.8 მლნ ლარით მოიმატა, შესაბამისად, პერიოდის ბოლოს 975.9 მლნ ლარი შეადგინა.

**ცხრილი 2.1.1**

სარეზერვო ფულის დინამიკა 2007 წ., თვის ბოლო მონაცემები

	01.07	02.07	03.07	04.07	05.07	06.07	07.07	08.07	09.07
სარეზერვო ფული	1 226 839	1 200 329	1 152 684	1 275 289	1 349 489	1 307 509	1 342 130	1 410 360	1 379 801
ფული მიმოქცევაში	834 396	840 606	857 971	893 463	922 622	967 394	1 026 111	1 065 079	1 081 077
ბანკების დეპოზიტები	392 443	359 723	294 713	381 826	426 867	340 115	316 019	345 281	298 724
საქალაქებში რეზერვები	219 303	223 649	231 147	243 528	253 685	139 880	133 787	116 986	65 737
საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები	173 140	136 074	63 566	138 298	173 182	200 235	182 232	228 296	232 988

**ცხრილი 2.1.2**

ფულადი აბრეშაბის ყოველთვიური ცვლილება 2007 წ., თვის საშუალო მონაცემები

	01.07	02.07	03.07	04.07	05.07	06.07	07.07	08.07	09.07
სარეზერვო ფული	1 218 235	1 208 282	1 185 314	1 236 298	1 299 819	1 314 985	1 365 013	1 374 932	1 365 490
ფული მიმოქცევაში	848 825	834 789	843 270	877 041	902 371	937 892	998 142	1 047 942	1 068 789
ბანკების დეპოზიტები	369 411	373 493	342 044	359 258	397 448	377 093	366 871	326 990	296 701
საქალაქებში რეზერვები	224 227	222 223	230 922	232 818	251 264	161 124	137 197	126 692	99 654
საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები	145 183	151 270	111 123	126 440	146 185	215 969	229 674	200 298	197 047

**ცხრილი 2.1.3**

ფულადი აბრეშაბის ყოველთვიური ცვლილება 2007 წ., თვის ბოლო მონაცემები

	01.07	02.07	03.07	04.07	05.07	06.07	07.07	08.07	09.07
ფართო ფული /M3/	2 583 541	2 712 182	2 674 368	2 863 189	2 967 426	3 247 908	3 391 100	3 612 537	3 708 562
ფულადი მასა /M2/	1297 637	1298 772	1365 417	1454 927	1536 421	1646 161	1 781 935	1 863 591	1 928 320
ბანკებისგარეთ არსებული ნაღდი ფული	739 864	752 811	761 988	781 242	819 339	851 145	908 966	943 985	952 466
ლარები მიმოქცევაში	834 396	840 606	857 971	893 463	922 622	967 394	1026 111	1065 079	1081 077
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	557 773	545 961	603 429	673 686	717 081	795 016	872 969	919 606	975 854
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	1 285 905	1 413 409	1 308 951	1 408 262	1 431 005	1 601 747	1 609 165	1 748 946	1 780 242

ფართო ფული M2-ის მჩვენებელი III კვარტალში 17.1 პროცენტით (282.2 მლნ ლარი) გაიზარდა, რაც, ძირითადად, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობის 180.8 მლნ ლარით მაგებამ განაპირობა.

ფართო ფული M3-ისა და M2-ის მჩვენებლების წლიური ზრდის ტემპებმა სექტემბერში, შესაბამისად, 53.2 და 51.45 პროცენტი შეადგინა.

## 2.2. საბანკო სექტორი


2007 წლის III კვარტალში კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკისათვის გაცემული სესხების მაღალი ზრდის ტემპი კვლავ შენარჩუნდა და პერიოდის ბოლოსათვის წლიური ზრდის მჩვენებელმა 64.9 პროცენტი შეადგინა. შედეგად, საკრედიტო პორტფელის მოცულობამ 4.187.0 მლნ ლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის ბოლოდან კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება საკმაოდ სტაბილური, მზარდი დინამიკით ხასიათდება. როგორც სესხების დინამიკის გრაფიკი გვიჩვენებს, სესხები ყოველთვის იზრდება, რაც წლიურ 70-პროცენტთან ზრდას შეესაბამება.

საკრედიტო პორტფელის ზრდასთან ერთად, ბანკებმა მნიშვნელოვნად გაააქტიურეს გრძელვადიანი დაკრედიტება, რის შედეგად გრძელვადიანი სესხების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში გაიზარდა. 2007 წლის III კვარტალის ბოლოსათვის მოკლევადიანი სესხების წილმა ეკონომიკისათვის გაცემულ სესხებში 29.7 პროცენტი შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდში მოკლევადიანი სესხების წილი 32.5 პროცენტი იყო. სესხების სტრუქტურაში გრძელვადიანი სესხების მაგებამ კომერციული ბანკების აქტიური სასესხო პოლიტიკით აიხსნება. ბანკებმა გააუმჯობესეს რისკების მართვა, რაც მათ გრძელვადიანი სასესხო პორტფელის უკეთ მართვის საშუალებას აძლევს. სესხების ვალიანობის მაგებამ ბანკებს უმცირეს ახალი სესხის გაცემასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, ხოლო ეკონომიკურ აგენტებს გრძელვადიან სესხებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობებს უქმნის, ეს კი, საბოლოოდ, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას უწყობს ხელს.

ბანკები სულ უფრო მზარდ აქტივობას იჩენენ სამომხმარებლო ბაზარზე, რის შედეგადაც


ბრაზიკი 2.2.1

ეკონომიკისთვის გაცემული სესხების დინამიკა (ლოგარითული სკალა)




ბრაზიკი 2.2.2

ვადებადანი სესხების წილი სესხებში



ბრაზიკი 2.2.3

უცხოური ვალუტით გაყვანილი სესხების წილი




ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები. 2007 წლის III კვარტალის ბოლოს, 2006 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები 85.0 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ზრდამ 59.2 პროცენტი შეადგინა. სამომხმარებლო სესხების მოცულობის ასეთი სწრაფი მატება, რიგი ფაქტორების გამო, მნიშვნელოვანი რისკის მაგარებელია.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო სესხები საქართველოში ახალი გავრცელებულია. შედეგად, მაღალია მომხმარებლის მიერ ამ პროდუქტის არაოპტიმალურად გამოყენების რისკი. დაბალი და არასტაბილური შემოსავლების პირობებში, იზრდება მომხმარებლის სესხით გადაგვითვის ალბათობა, რაც სასესხო პორტფელში რისკის ფაქტორს ზრდის.

ბრაზიკი 2.2.4


სადეპოზიტო ვალდებულებები



ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ვადაგადაცილებული დავალიანების წილმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2007 წლის III კვარტალის ბოლოსათვის ეროვნული ვალუტით გაცემული მთლიანი სესხების 2.0 პროცენტი შეადგინა. ჯერჯერობით, ძნელია მტკიცება – სისტემურ ფაქტორთან გვაქვს საქმე, თუ შემთხვევითობა ფლუქტუაციებმა იჩინა თავი. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ვალუტით ვადაგადაცილებული დავალიანების პროცენტმა გადააჭარბა უცხოური ვალუტით ვადაგადაცილებული დავალიანების პროცენტს. გრადიციულად, უცხოური ვალუტით ვადაგადაცილება ყოველთვის აღემატებოდა ეროვნული ვალუტით დავალიანებას. ეს გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ კომერციული ბანკები უფრო აქტიურად იყენებდნენ უცხოურ ვალუტას მაღალრისკიანი საკრედიტო ბაზრის სეგმენტში. საერთო ჯამში, უკანასკნელ წლებში, ვადაგადაცილებული სესხების წილის შემცირების ტენდენცია აშკარად გამოიკვეთა.

ბრაზიკი 2.2.5


დევოზიტები საკუთრების ფორმის მიხედვით



სესხების ლოლარიზაციის მაჩვენებელმა მინიმუმს 2006 წლის ბოლოს მიაღწია, რის შემდეგაც მისი ზრდა დაიწყო. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წილი 2007 წლის III კვარტალის ბოლოს მთლიანი სესხების 72.3 პროცენტი იყო. წინა წლის შესაბამის პერიოდში ანალოგიური მაჩვენებელი 70.7 პროცენტს შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ მოცემული პერიოდის განმავლობაში ლარის გაცვლის კურსის გამყარებას, ცხადი ხდება, რომ უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ოდენობა გაცილებით მაღალი ტემპით იზრდება, ვიდრე ლარით გაცემული სესხებისა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა, აშშ ლოლარით გამოსახული, 73.9 პროცენტით გაიზარდა მაშინ, როდესაც ლარით გაცემულმა სესხებმა ნომინალურად მხოლოდ 56.1 პროცენტით მოიმატა.

ბრაზიკი 2.2.6

საშუალო-სიღრმისეული კაპიტალის ლიკვიდობა




აღსანიშნავია, რომ გრძელვადიანი სესხები გაცილებით მაღალი დოლარიზაციით გამოირჩევა, ვიდრე მოკლევადიანი სესხები. 2007 წლის III კვარტალის ბოლოსათვის გრძელვადიანი სესხების დოლარიზაციამ 81.6 პროცენტი შეადგინა მაშინ, როდესაც მოკლევადიანი სესხების დოლარიზაცია 56.6 პროცენტი იყო. დოლარიზაციის მრავალმხრივად მოკლევადიანი სესხების დოლარიზაციის მაგების ხარჯზე ხდებოდა. ერთი წლის მანძილზე მოკლევადიანი სესხების დოლარიზაცია 4.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო გრძელვადიანი სესხებისა 1.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

2007 წლის III კვარტალის ბოლოსათვის კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკიდან მოზიდული დეპოზიტების წლიურმა ზრდის ტემპმა 67.3 პროცენტი შეადგინა და 2756.1 მლნ ლარს მიაღწია. მიმდინარე ანგარიშებისა და ვადიანი დეპოზიტების ზრდის ტემპები თანაბარი იყო.

ბრაზიკი 2.2.7


იპოთეკური სესხების წილი მთლიან სესხებში



იურიდიული პირების დეპოზიტების მოცულობა 89.2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირებისა – მხოლოდ 46.5 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირები თავიანთ დეპოზიტებს, უცხოური და ეროვნული ვალუტით, თანაბრად მრდიან მაშინ, როდესაც ფიზიკური პირები დეპოზიტების ზრდას ეროვნული ვალუტის ხარჯზე ახდენენ. ამ სახის დეპოზიტების მოცულობის 133.7 პროცენტთან წლიური ზრდა ფიქსირდება ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე, მაშინ, როცა უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ზრდა მხოლოდ 37.5 პროცენტს შეადგენს.

ბრაზიკი 2.2.8

პროცენტული ბონის ფასის და ქირის წლიური ზრდის ტემპი




2007 წლის III კვარტალის ბოლოსათვის უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წილმა 64.6 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების დოლარიზაცია გაცილებით დაბალია სესხების დოლარიზაციის მაჩვენებლებზე. ეს განსხვავება უნდა აიხსნას იმ ფაქტით, რომ კომერციული ბანკები მნიშვნელოვან უცხოურ სახსრებს მოიზიდავენ, რასაც სავალუტო რისკის თავის ასარიდებლად, უცხოური ვალუტით სესხების გასაცემად იყენებენ. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკიდან მოთხოვნა ლარით გაცემულ სესხებზე არსებობს. ამის დამადასტურებელია ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ვიდრე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე.

2007 წლის III კვარტალის მონაცემების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 22.7 პროცენტი იყო. ეს მაშინ, როდესაც უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 18.1 პროცენტს შეადგენდა.


ბრაზიკი 2.2.9

რენტა/ვასი




ბრაზიკი 2.3.1

საპარტიკულო პროცენტი პანკის მონაწილეობა თბილისის პანკოპოლის სავალუტო ბირჟაზე 2006-2007წწ.



ბრაზიკი 2.3.2

ლარის ნომინალური ბაცვლის კურსის აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2006-2007წწ.



საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი სწრაფი ტემპით ვითარდება. ის თანდათან იძენს საფინანსო ბაზრის ფუნქციასაც და ინვესტირების ალტერნატიულ საშუალებად გვევლინება. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ საფონდო ბირჟა არალიკვიდურია. ასევე არსებობს გარკვეული უნდობლობა საფინანსო ინსტიტუტებისა და სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ. უკანასკნელ წლებში უძრავი ქონების ფასები მაღალი ტემპით იზრდებოდა. ეკონომიკურ აგენტებში კი არსებობს იმის მოლოდინი, რომ ეს მრღა კვლავ გაგრძელდება. ფასების დინამიკის მკვეთრმა ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი რისკები წარმოშვას, რომელიც, თავის მხრივ, საფინანსო ბაზრებს გადაეცემა.

2007 წლის იანვრიდან აგვისტოს ბოლომდე იპოთეკური სესხების მოცულობა ისეთივე ტემპით იზრდებოდა, როგორც მთლიანი სასესხო პორტფელისა. სექტემბერში შეინიშნებოდა იპოთეკური სესხების წილის მკვეთრად შემცირება. იპოთეკური სესხების მხოლოდ 16.6 პროცენტი არის გაცემული ეროვნული ვალუტით.

უკანასკნელ ერთი წლის მანძილზე შეინიშნება ბინის ფასის მრღის შენელება. თუმცა, 2007 წლის III კვარტალის ბოლოს, ბინის ფასის 23.1 პროცენტით, ხოლო ქირის 24.0-პროცენტითაა მრღა მაინც დაფიქსირდა.

უძრავი ქონება აქტიურად გამოიყენება ეკონომიკური კონტრაქტების უზრუნველსაყოფად და მათი მაღალი ფასი ხელს უწყობს ამ კონტრაქტების შესრულებას და ლეფოლგის დაბალი ღონის შენარჩუნებას.


### 2.3. სავალუტო ბაზარი

2007 წლის დასაწყისიდან სექტემბრის ბოლომდე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, საერთო მოცულობით, 720.3 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა და 76.7 მლნ აშშ დოლარი გაყიდა, მათ შორის, III კვარტალში – 303.0 და 43.7 მლნ აშშ დოლარი, შესაბამისად. საანალიზო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული აშშ დოლარის წმინდა შესყიდვების მოცულობა 14.9 პროცენტით აღემატება II კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელს.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე წლის დასაწყისიდან სექტემბრის ბოლომდე ლარის გაცვლის კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.7135-დან, თანდათანობით, 1.6580-მდე შეიცვალა, ანუ გამყარდა 3.2 პროცენტით. აქედან 0.7 პროცენტი III კვარტალზე მოდის. მიუხედავად ამისა, 2006 წლის დეკემბრიდან 2007 წლის სექტემბრამდე პერიოდში (თვის საშუალო


ბრაზიკი 2.3.3

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟასზე და ბირჟის გარეშე (მომავალ-ბაჟიმო) დაფიქსირებული ლარის ნომინალური ბაცვლის კურსი აშშ დოლარის მიმართ




ბრაზიკი 2.3.4

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური ბაცვლის კურსის ინდექსი  
დეკემბერი, 1995=100



ბრაზიკი 2.3.5

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური ბაცვლის კურსის ინდექსი  
დეკემბერი, 2006=100




მონაცემებით) ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსი 0.8 პროცენტით, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლის კურსი 0.2 პროცენტით იყო გაუფასურებული.

2007 წლის სექტემბერში, 2006 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რეალური ეფექტური გაცვლის კურსი 0.7 პროცენტით გაუფასურდა. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე (სექტემბრიდან სექტემბრამდე) სახეზეა ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსის 1.9 პროცენტით გაუფასურება. საანალიზო წლის განმავლობაში ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსი, რეალურ ეფექტურ გაცვლის კურსზე მეტად არის გაუფასურებული, რაც საქართველოში, მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით, მაღალ ინფლაციამე მიუთითებს. კერძოდ, ინფლაცია 3 პროცენტზე დაბალია ევროპის ქვეყნებსა და სომხეთში. საქართველოსთან შედარებით, ასევე დაბალია ინფლაცია თურქეთში (7.1 პროცენტი), თუმცა, ზოგიერთ სხვა ქვეყანაში სექტემბერში არსებული წლიური ინფლაციის დონე საქართველოში დაფიქსირებულ 9.0 პროცენტზე მაღალი იყო: რუსეთში – 9.5, უკრაინაში – 14.4, აზერბაიჯანში – 15.9 პროცენტი.


აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, თუ განვიხილავთ წინა თვეების ანალოგიურ მაჩვენებლებს, რეალური და ნომინალური ეფექტური კურსების დინამიკა საკმაოდ სინქრონულია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოსა და მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ინფლაცია (საშუალოდ, შესაბამისი წონების გათვალისწინებით), დაახლოებით, თანაბრად მერყეობს.

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლის კურსები 2005 წლის დეკემბრის შემდეგ გაუფასურებულია. კერძოდ, 2007 წლის სექტემბერში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, რეალური ეფექტური გაცვლის კურსი 0.3 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსი 2.5 პროცენტით გაუფასურდა.


ბრაზიკი 2.3.6  
 ლარის გაცვლის კურსის დინამიკა ევროსა (მარცხენა სკალა)  
 და აშშ დოლარის (მარჯვენა სკალა) მიმართ  
 2007 წ.



ბრაზიკი 2.3.7  
 ლარის გაცვლის კურსის დინამიკა რუსული რუბლისა  
 (მარცხენა სკალა) და დიდი ბრიტანეთის ბირვანძა  
 სტერლინგის (მარჯვენა სკალა) მიმართ  
 2007 წ.



ბრაზიკი 2.3.8  
 ლარის გაცვლის კურსის დინამიკა შვეიცარიული ფრანკისა  
 (მარცხენა სკალა) და თურქული ლირას (მარჯვენა სკალა)  
 მიმართ  
 2007 წ.



## ჩანართი 2. წარმოადგენს თუ არა საოპერაციო დანაკარგები პრობლემას ეროვნული ბანკებისათვის?

ერთი შეხედვით, ქვეყნის ეროვნული ბანკის უარყოფითი ბალანსი შეიძლება შემაშფოთებელი იყოს. ამასთან, მთელ მსოფლიოში ცენტრალური ბანკების გამოცდილება უარყოფით საოპერაციო ბალანსთან დაკავშირებით უჩვეულო არ არის. უკანასკნელი წლების მონაცემები ცხადყოფს, რომ 2006 წელს ჩეხეთის, რუმინეთის, სლოვაკეთის, სლოვენისა და შვედეთის ცენტრალურ ბანკებს, წლის ბოლო მონაცემებით, უარყოფითი ბალანსი ჰქონდათ. გაცვლის კურსის ცვლილების გამო, საერთაშორისო რეზერვების მოცულობის გადაფასებამ წლის დასასრულისათვის ეროვნული ბანკის საერთო ბალანსი შეიძლება უარყოფითად აქციოს.

იმის გამო, რომ ცენტრალური ბანკები ფლობენ და განკარგავენ საერთაშორისო რეზერვებს, რყევები სავალუტო ბაზრებზე მნიშვნელოვან შეგავლენას ახდენს მათ საბალანსო ანგარიშებზე. კერძოდ, ბანკის ეროვნული ვალუტის არსებითმა გამყარებამ შესაძლებელია განაპირობოს მოგების უარყოფითი მაჩვენებელი წლის ბოლოსათვის. თუმცა, ცენტრალური ბანკები პრინციპულ საკითხად არ მიიჩნევენ საბალანსო ანგარიშის მოგებას ან მარალს, რადგან მათ ძირითად მიზანს წარმოადგენს ფინანსური სტაბილურობა და ინფლაციის მართვა და არა შემოსავლის მიღება.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა თავისუფალი გაცვლის კურსის რეჟიმის მქონე ქვეყნებისათვის, რომელთა ცენტრალური ბანკები ფლობენ საერთაშორისო რეზერვებს საბალანსო ანგარიშზე (ასეა საქართველოს ეროვნული ბანკის შემთხვევაშიც).

უფრო კონკრეტულად, თუ ქვეყანაში აღინიშნება დიდი მოცულობით უცხოური ვალუტის შემოდინება, ბანკმა შესაძლებელია გაზარდოს ფულის მიწოდება ეროვნულ ვალუტაზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და გაზარდოს საკუთარი საერთაშორისო რეზერვები. ამ დროს, ვალდებულებები დაბალანსებულია უცხოური ვალუტის აქტივებით, რომლებიც ბანკს საკუთარ საბალანსო ანგარიშზე აქვს. ამასთან, დროთა განმავლობაში, ეროვნული ვალუტის გამყარების პირობებში, ბანკის უცხოური ვალუტის აქტივების მოცულობა შემცირდება (ეროვნული ვალუტით გამოხატული), ხოლო მისი ვალდებულებები უცვლელი დარჩება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბანკის უარყოფითი მოგება.

რამდენად უნდა იყოს ამგვარი მდგომარეობა ხელისუფლების შეშფოთების საგანი? მსგავსი საკითხების განხილვისას, ჩეხეთის ეროვნული ბანკის მაგალითზე, ი. ფრეი (2005 წ.) აღნიშნავს, რომ უარყოფითი ბალანსი თავისთავად არ უნდა იყოს ეროვნული ბანკის მისიის საზიანო: ბევრი რამ დამოკიდებულია ბანკის დანაკარგების ხასიათზე. თუ დანაკარგების უმეტესი ნაწილი გამოწვეულია გადაფასებით, ბანკის მონეტარული პოლიტიკის სანდოობა არ დაზარალდება. რაკი დანაკარგები არ არის დაკავშირებული მონეტარულ სისტემაში დამატებითი ლიკვიდურობის გაშვებასთან, ასევე არ უარესდება ინფლაციური მოლოდინი, რადგან ბანკს „საკუთარი თავის“ ვალი აქვს. შეუძლებელია, რომ ამგვარმა მდგომარეობამ ფინანსური კრიზისი წარმოშვას.

## 2.4. ეკონომიკის საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი

2007 წლის II კვარტალში დაფიქსირდა მიმდინარე ანგარიშის ლეფიციტის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც, I კვარტალთან შედარებით, 12.1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2006 წლის II კვარტალთან შედარებით – 33.2 პროცენტით და 426.4 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2000-2007 წლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მიმდინარე ანგარიშის ლეფიციტს 2007 წლის II კვარტალში კვლავ საქონლით ვაჭრობა განაპირობებდა, ხოლო ამ უკანასკნელზე უარყოფითად იმოქმედა რუსეთის მიერ ბუნებრივ აირზე ფასის 2-ჯერ და მეტად გაზრდამ. შედეგად მივიღეთ ბუნებრივი აირის იმპორტის ზრდა 2006 წლის II კვარტალში დაფიქსირებული 44.7 მლნ აშშ დოლარიდან 60.5 მლნ აშშ დოლარამდე, ანუ ადგილი ჰქონდა იმპორტის 35 პროცენტით მაგებას. სავაჭრო ლეფიციტზე, გარდა ამ პირდაპირი მეგავლენისა, ბუნებრივ აირზე ფასის აწევას მოჰყვა ირიბი ზემოქმედებაც. კერძოდ, ფასის ზრდა აისახა წარმოების დანახარჯებზე, რამაც გამოიწვია საექსპორტო პროდუქციის თვითღირებულების გაზრდა, უკანასკნელი კი ნეგატიურად მოქმედებს ექსპორტზე. გაიზარდა შიდა მოხმარების პროდუქციის თვითღირებულებაც, რაც, თავის მხრივ, იმპორტის წამახალისებელია. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს სავაჭრო ლეფიციტზე. კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც გამოიწვია ა. წ. II კვარტალში მიმდინარე ანგარიშის ლეფიციტი, ეს არის შემოსავლების ლეფიციტური ბალანსი, რომელიც, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 107 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა და მიმდინარე ანგარიშის 17.9 პროცენტი შეადგინა. შემოსავლების ლეფიციტის ასეთი მკვეთრი ზრდა გამოწვეულია რამდენიმე კომპანიის მიერ დიდი ოდენობით დივიდენდების გაცემით, რაც, თავისთავად, ღრობით მოეღვენეს წარმოადგენს.

საგარეო ვაჭრობის ოფიციალურად რეგისტრირებულმა ბრუნვამ 2007 წლის III კვარტალში 1657.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 30 პროცენტით აღემატება. აქედან, ექსპორტი გაიზარდა 35 პროცენტით, ხოლო იმპორტი – 29 პროცენტით. 2007 წლის II კვარტალთან შედარებით კი, ექსპორტი გაზრდილია 4 პროცენტით, ხოლო იმპორტი – 12 პროცენტით. თუ შევადარებთ 2007 წლის ცხრა თვის მონაცემებს გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს, აღმოჩნდება, რომ ვაჭრობის ბრუნვა გაიზარდა 34 პროცენტით, აქედან ექსპორტი – 25 პროცენტით, ხოლო იმპორტი – 37 პროცენტით.

შეიცვალა პოზიციები ძირითადი პარტნიორი ქვეყნების ათეულში როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მიხედვით. თუ 2007 წლის I კვარტალში რუსეთში იმპორტს პირველი ადგილი ეჭირა, III კვარტალში მესამე ადგილზე

ცხრილი 2.4.1

ძირითადი სამხარტო პარტნიორი ქვეყნების ათწული (გლნ აშშ ფოლარი) 2007 წ., III კვარტალი

ქვეყანა	I კვ. 2006	II კვ. 2006	III კვ. 2006	IV კვ. 2006	I კვ. 2007	II კვ. 2007	III კვ. 2007
იმპორტი, სულ	682.5	887.1	1023	1085	1046	1184	1321
მათ შორის:							
თურქეთი	77.7	121.2	144.9	178.8	136.2	167.4	184
უკრაინა	51.1	71.9	98.4	98.8	92.4	133.1	152.7
რუსეთი	128.2	141.6	140.9	148	168.5	129.6	125.4
გერმანია	68.1	92.2	86.3	104.6	86.3	92.6	99.2
ამერიკა	50.2	82.9	86	99.3	76.7	90	90.3
აშშ	27.1	30.1	28.5	44	35.5	39.7	71.2
ჩინეთი	17.4	23.5	29.1	33.3	41.5	45.2	56.9
არაბთა გაერთიანებული საამიროები	21.2	22.4	25.8	39.6	42.4	45.5	53.2
ბულგარეთი	26.8	32.8	33.8	22.1	38.5	35.5	46.3
თურქმენეთი	19.2	27.8	39.6	14.4	21.2	33.5	41.5
დანარჩენი ქვეყნები	195.5	240.6	309.8	302.1	306.3	371.6	400.4

ცხრილი 2.4.2

ძირითადი სამხარტო ქვეყნების ათწული (გლნ აშშ ფოლარი) 2007 წ., III კვარტალი

ქვეყანა	I კვ. 2006	II კვ. 2006	III კვ. 2006	IV კვ. 2006	I კვ. 2007	II კვ. 2007	III კვ. 2007
ექსპორტი, სულ	221.4	236	248.3	286.8	225.2	323.2	336.2
მათ შორის:							
თურქეთი	17.3	27.3	36.6	43.7	35.8	48.3	49
აშშ	15.6	12.5	23.9	6.8	10.6	23.6	44
ამერიკა	14.6	20.2	22.4	34.9	22.2	41.5	36
სომხეთი	12.4	20.8	18.2	22.2	21.5	21.8	34.1
ბულგარეთი	11.6	20.2	18.3	12.2	7.9	22.3	20.9
კანადა	10.1	12	12.8	14	9.5	14.5	19.7
რუსეთი	43.8	10	13.1	8.7	13.3	10.6	19.6
უკრაინა	12.8	14	14.8	15.5	17	21	19.5
გერმანია	6.9	10.9	6.5	21.1	11.8	9.5	14.6
ფინეთი	0	0	0	0.2	0	0	6.9
დანარჩენი ქვეყნები	76.3	88.2	81.6	107.5	75.6	109.9	72.1

ცხრილი 2.4.3

ძირითადი სამხარტო პროდუქციის ათწული (გლნ აშშ ფოლარი) 2007 წ., III კვარტალი

საქონლის დასახელება	I კვ. 2006	II კვ. 2006	III კვ. 2006	IV კვ. 2006	I კვ. 2007	II კვ. 2007	III კვ. 2007
ექსპორტი, სულ	221.4	236	248.3	286.8	225.2	323.2	336.2
მათ შორის:							
ფეროშენიანობები	19.6	20.1	30.2	19.9	18.1	33.9	43.3
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	10.2	23	21.6	24.7	21	24	27.5
შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი	13.5	20.3	19.5	19.1	20.8	30.2	24.4
ოქრო და უმუხვებელი ან ნახევრადამუხვებელი, ან ფხვნილის სახით	11.1	11.8	12.5	13.9	9.4	14.5	19.3
ცემენტი	4.1	7.4	7.9	9.4	9.2	17.5	18.7
ელექტროენერჯია	1	-	1.3	-	0.8	3.8	18.2
მსუბუქი ავტომობილები	4.5	9.5	15.5	21.2	13.1	20	17
კაკალი სხვა, ახალი ან გამომარა	17	8.6	6.3	24.7	10.7	8	15.9
ეთილის სპირტი, სპირტიანი სასმელები	8.4	5.3	8.4	8	11.6	14.3	12.3
ამოკოვანი სასუქები მინერალური ან ქიმიური	10	9	13.5	14.2	14.3	14.5	11.6
დანარჩენი პროდუქცია	122.1	120.9	111.7	131.8	96.2	142.5	127.9

გადაინაცვლა. რუსეთს უსწრებენ თურქეთი და უკრაინა, რომლებიც, შესაბამისად, პირველ და მეორე ადგილებს იკოფენ. ძირითადი საიმპორტო ათეული, 2007 წლის III კვარტალის მონაცემების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

რუსეთის ემბარგოს დაწესების შემდეგ თურქეთმა საქართველოს ძირითადი საქსპორტო ქვეყნის ადგილი სტაბილურად დაიკავა. თურქეთში ექსპორტი 2007 წლის ცხრა თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 1.6-ჯერ გაიზარდა და 133.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთელი ექსპორტის 15 პროცენტია. საქართველოდან თურქეთში ძირითადად შავი ლითონების, ალუმინისა და სპილენძის ჯართი გადის.

2007 წლის ცხრა თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტი რუსეთში შემცირებულია 23.4 მლნ აშშ დოლარით, ანუ 35 პროცენტით. კვლავ შეწყვეტილია ამ ქვეყანაში ღვინის, მინერალური წყლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი. მიმდინარე წლის სამ კვარტალში რუსეთში ძირითად საქსპორტო სასაქონლო ჯგუფებს ფეროშენიანობები, ელექტროენერჯია, რკინიგზისა და გრამფაის ლოკომოტივის ნაწილები, ცეცხლგამძლე სამშენებლო მასალები წარმოადგენდა.

გარკვეული ცვლილებებია ძირითადი პროდუქციის ექსპორტის სტრუქტურაში.

2007 წლის III კვარტალში და მთლიანად ცხრა თვეში ექსპორტში პირველი ადგილი ფეროშენიანობებს უკავია. მის წილად მიმდინარე წლის საანალიზო პერიოდში მთელი ექსპორტის 11 პროცენტი მოდის. მიმდინარე წლის ცხრა თვის მონაცემებით, შავი ლითონების ჯართი მეორე ადგილზეა (ექსპორტის 9 პროცენტი), ხოლო III კვარტალის მონაცემებით – მესამეზე, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების შემდეგ.

ძირითადი საქსპორტო პროდუქციის ათეულს მიღმა დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საქონელი, როგორცაა მინერალური წყლები, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სპილენძისა და ალუმინის ჯართი.

უმსხვილეს საიმპორტო სასაქონლო ჯგუფს კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები წარმოადგენს, რომელიც 2007 წლის III კვარტალში იმპორტის 10.7 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზე გადავიდა მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი, ხოლო ბუნებრივი არის იმპორტმა I კვარტალში პირველი ადგილიდან III კვარტალში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მას რეგისტრირებული იმპორტის 3.4 პროცენტი უჭირავს, რაც 2006 წლის ცხრა თვის მონაცემებს 1.6-ჯერ აღემატება. ბრდა გამოწვეულია ამ ჯგუფში შემავალი ბუნებრივი აირის გაძვირებით, ფასთა სხვაობით

ცხრილი 2.4.4

ქირითადად საიმპორტო პროდუქციის ათწლეული  
(გლნ აშშ დოლარი)  
2007 წ., III კვარტალი

საქონლის დასახელება	I კვ. 2006	II კვ. 2006	III კვ. 2006	IV კვ. 2006	I კვ. 2007	II კვ. 2007	III კვ. 2007
იმპორტი, სულ	682.5	887.1	1 023.2	1 085.0	1 044.5	1 183.8	1321.2
მათ შორის:							
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	80.8	122.5	142.1	97.7	97.0	131.2	141.7
მსუბუქი ავტომობილები	65.5	72.8	70.2	86.9	79.1	88.5	96.2
ნავთობის აირები და სხვა აირისებრი	57.4	44.7	40.6	70.4	116.8	60.5	45.4
ნახშირწყობალები							
სამკერძო საშუალებები	25.4	31.1	25.5	32.6	36.5	32.4	36.2
ხორბალი და მესღანი	16.9	20.7	26.9	34.5	26.4	26.9	36.1
საფრენი აპარატები სხვა	6.0	-	0.0	1.6	-	-	28.5
რადიოსატელეფონი							
გადამცემი აპარატურა, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისათვის	8.1	12.5	18.6	19.6	13.9	29.8	25.7
შაქარი	11.0	16.4	22.4	15.8	12.6	19.5	25.3
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	8.0	10.3	14.2	14.0	14.1	20.1	19.1
მიწები და მილაკები, სხვა, შავი ლითონებისაგან	0.3	1.4	0.9	0.0	0.1	1.2	18.1
დანარჩენი პროდუქცია	403.2	554.8	661.7	711.8	649.0	773.7	848.8

გამოწვეული ცვლილება კი 91.1 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შავი ლითონის ნაწარმის იმპორტი. აღნიშნული დაკავშირებულია საქართველოში სამშენებლო ბუშთან. სამკურნალო საშუალებების იმპორტი 2007 წლის ცხრა თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაზრდილია 23 მლნ აშშ დოლარით, ანუ 28 პროცენტით.

2007 წლის III კვარტალში საქართველოში შემოვიდა 341.9 ათასი უცხოელი, რაც 36 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ გურისგული მომსახურების ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. ამავე პერიოდში საქართველოდან საზღვარგარეთ წავიდა საქართველოს 423.6 ათასი მოქალაქე, რაც 20 პროცენტით აღემატება გასული წლის III კვარტალის მონაცემებს. რაც შეეხება საქართველოში დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეებს, მათი რიცხვი 2007 წლის III კვარტალში 405.1 ათას კაცს შეადგენს, ანუ 16 პროცენტით აღემატება 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა, ქვეყნიდან გასულთა რაოდენობა კვლავ სჭარბობს შემოსული ადამიანების რიცხვს, რაც იმის მანიშნებელია, რომ, სავარაუდოდ, იზრდება საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ მოქალაქეთა რაოდენობა.

2007 წელს საგრძნობლად გაიზარდა ფულადი გზავნილების მოცულობა, რომელიც მნიშვნელოვნად აბალანსებს მიმდინარე ანგარიშის ლეფიცისგ. III კვარტალში საქართველოში გადმორიცხულია 247.0 მლნ აშშ დოლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 51.8 პროცენტით მეტია. მთლიანად 2007 წლის ცხრა თვეში საქართველოში გადმორიცხა 599.8 მლნ აშშ დოლარი, რაც 57.3 პროცენტით აღემატება 2006 წლის ცხრა თვის ანალოგიურ მაჩვენებელს. III კვარტალში გადმორიცხული თანხების 65.7 პროცენტი რუსეთის წილად მოდის (ცხრა თვეში 64.1 პროცენტი). მეორე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატები, საიდანაც საქართველოში 2007 წლის ცხრა თვეში 86.1 მლნ აშშ დოლარი გადმორიცხა, რაც მთლიანი გადმორიცხული თანხის 14.4 პროცენტს შეადგენს. დანარჩენი ქვეყნების წილი დიდი არ არის. 2007 წლის ცხრა თვეში გადმორიცხულია: ესპანეთიდან – 2.9 პროცენტი, საბურძნეთიდან – 2.4 პროცენტი, უკრაინიდან – 2.1 პროცენტი და თურქეთიდან – 2.0 პროცენტი.


### ჩანართი 3. საგადასახდელო ბალანსი

საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს სტატისტიკურ ანგარიშს, რომელშიც ასახულია ქვეყანაში განხორციელებული საგარეო ეკონომიკური ოპერაციები, ანუ ეკონომიკური ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. საგადასახდელო ბალანსი შედგება ორი ძირითადი ანგარიშისაგან, ესენია: „მიმდინარე ანგარიში“ და „კაპიტალის და ფინანსური ანგარიში“. ეს უკანასკნელი იყოფა კაპიტალის ანგარიშად და ფინანსურ ანგარიშად. მიმდინარე ანგარიშში ასახულია რეალური ოპერაციები, ხოლო ფინანსურში – მათი დაფინანსების საშუალებები.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში ლეფიციტურია. იგი გამოწვეულია საქონლის ანგარიშის ლეფიციტით, რომელიც გარკვეულად მცირდება მიმდინარე ანგარიშის სხვა კომპონენტების დადებითი სადღოს მეშვეობით. მიმდინარე ანგარიშის ლეფიციტი, ძირითადად, დაფინანსებულია ფინანსური ანგარიშის შემდეგი ქვეანგარიშებით – პირდაპირი და სხვა ინვესტიციებით. რაც შეეხება პორტფელის ინვესტიციებს და ფინანსურ წარმოებულებს, მათ მცირე

წილი უკავიათ. სარემერეო აქტივები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიმდინარე ანგარიშის ლეფიციტის დასაფინანსებლად, თუმცა, უკანასკნელი წლების განმავლობაში ამის საჭიროება არ აღმდგარა, რის გამოც, სარემერეო აქტივები საკმაოდ სწრაფი ტემპით მატულობს.

ბრაზიკი 1. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)



## 2.5. გამოშვება და მოთხოვნა

### გამოშვება

2007 წლის II კვარტალის მშპ-ის ზრდამ, 2006 წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, 13.4 პროცენტით შეადგინა. შედეგად, 2007 წლის პირველ ნახევარში, 2006 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მშპ-ის 12.5-პროცენტითი ზრდა დაფიქსირდა.

ეკონომიკის ზრდის დარგობრივი განხილვა გვიჩვენებს, რომ მიმდინარე წლის II კვარტალში ეკონომიკური საქმიანობის სახეებს შორის, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ზრდის დადებითი მაჩვენებელი დაფიქსირდა ყველა სექტორში, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „საფინანსო შუამავლობა“ (33.2 პროცენტი). სულ, 2007 წლის პირველ ნახევარში „საფინანსო შუამავლობა“ 26.2 პროცენტით გაიზარდა, 2006 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

მშპ-ში შეტანილი წვლილის მიხედვით, კვლავინდებურად პირველ ადგილზეა ვაჭრობა, რომლის ხვედრითი წილი მშპ-ში, 2007 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, 13.5 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის

ცხრილი 2.5.1

საპროცენტო მონაცემები შიდა პროდუქტის შემადგენელი ნაწილების მიხედვით


	წელიწადი მშპ-ში 2006 წ.	რეალური მრდა 2007 წ. I კვ.	რეალური მრდა 2007 წ. II კვ.	რეალური მრდა 2007 წ. I ნახევარი	წელიწადი მშპ-ის მრდაში, 2007 წ. I კვ.	წელიწადი მშპ-ის მრდაში, 2007 წ. II კვ.	წელიწადი მშპ-ის მრდაში, 2007 წ. I ნახევარი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და საგლეხო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	11.3%	93%	106%	100%	-0.7%	0.7%	0.0%
სამთომშობიებითი მრეწველობა	1.0%	128%	110%	115%	0.3%	0.1%	0.2%
გალამბმუშავებელი მრეწველობა	8.6%	109%	117%	114%	0.8%	1.5%	1.2%
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	2.7%	107%	107%	107%	0.2%	0.2%	0.2%
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	2.5%	113%	115%	114%	0.3%	0.4%	0.4%
მშენებლობა	6.8%	112%	107%	110%	0.8%	0.5%	0.7%
ვაჭრობა; აგეომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი ხარჯვლების საგნების რემონტი	13.6%	114%	118%	116%	1.9%	2.4%	2.2%
სასტუმროები და რესტორნები	2.2%	105%	119%	113%	0.1%	0.4%	0.3%
გრანისპორტი, ღამისხარე და ღამაგებითი საგრანსპორტო საქმიანობა	8.0%	123%	117%	120%	1.9%	1.3%	1.6%
კაემირგამბეობა და ფოსტა	3.5%	106%	114%	110%	0.2%	0.5%	0.3%
საფინანსო საქმიანობა	2.3%	118%	133%	126%	0.4%	0.8%	0.6%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	3.2%	110%	115%	113%	0.3%	0.5%	0.4%
საკუთარი საცხოვრების გამომწვევების პირობითი რენტა	2.4%	107%	107%	107%	0.2%	0.2%	0.2%
სახელმწიფო მმართველობა	8.6%	111%	107%	109%	0.9%	0.6%	0.7%
განათლება	3.6%	103%	120%	111%	0.1%	0.7%	0.4%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	4.3%	116%	112%	113%	0.7%	0.5%	0.6%
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	3.4%	103%	108%	105%	0.1%	0.3%	0.2%
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	0.1%	103%	105%	104%	0.0%	0.0%	0.0%
საქმიან აქტივობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამომწვევების არაპირდაპირი შეფასება	-0.9%	237%	150%	193%	-1.2%	-0.5%	-0.8%
მშპ საბაზისო ფასებში	87.4%	109%	113%	111%	7.5%	11.7%	9.8%
გადასახადები პროდუქციაზე	13.1%	127%	114%	121%	3.6%	1.9%	2.7%
სუბსიდიები პროდუქციაზე	-0.4%	102%	103%	103%	0.0%	0.0%	0.0%
მშპ საბაზრო ფასებში	100.0%	111.4%	113.4%	112.5%	11.4%	13.4%	12.5%

ინფორმაციის წყარო: გამოთვლები შესრულებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით.\*

\* ითითებული სექტორისათვის მშპ-ის მრდაში წელიწადის დასათვლელად ღრის მოცემულ ინტერვალში მრდას გეგმა გამოვლენულია ამ სექტორის წელიწადში წინა პერიოდის მშპ-ში. ასეთი გამოთვლა არ გულისხმობს აბსოლუტურად მუდგ მონაცემს, მაგრამ საკმაოდ ახლოა რეალობასთან და გამოვლენა, წარმოადგენს შესაქმნელად ითითებული სექტორის წელიწადში მშპ-ის მრდას თვალსაზრისით.

ბრაზილი 2.5.1

სხვადასხვა ღარბების წვლილი მშპ-ში 2006 წ., პირველი ნახევარი




პირველ ნახევარში მეორე ადგილზე იყო სოფლის მეურნეობა 12.5-პროცენტთან წვლილით, მაგრამ მისი წილი მშპ-ში 2007 წელს 10.2 პროცენტამდე შემცირდა და პოზიცია სახელმწიფო მმართველობას დაუთმო. ამ უკანასკნელის სერიოზული მრდა არის დაფიქსირებული – 7.9 პროცენტიდან (2006 წლის პირველ ნახევარში) 11.2 პროცენტამდე (2007 წლის პირველ ნახევარში).


შინამეურნეობების მოხმარება

2007 წლის II კვარტალში, 2006 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შინამეურნეობების მოხმარება, ნომინალური გამოხატვებით, მხოლოდ 1.9 პროცენტით იყო გაზრდილი. სულ 2007 წლის პირველ ნახევარში, 2006 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 6.3-პროცენტის მრდა დაფიქსირდა, რაც, ინფლაციის გათვალისწინებით, იმაზე მიუთითებს, რომ მოხმარება შემცირებულია (2007 წლის პირველი ნახევარის


ბრაზიკი 2.5.2  
სხვადასხვა ღირებულების წვლილი მშპ-ში 2007 წ., პირველი ნახევარი



ბრაზიკი 2.5.3  
სხვადასხვა სექტორების ზრდის ტემპი 2006 და 2007 წლის პირველ ნახევარში



ბრაზიკი 2.5.4  
სხვადასხვა სექტორების ზრდის ტემპი 2006 და 2007 წლის პირველ ნახევარში



სამომხმარებლო ფასები 2006 წლის ანალოგიურ ფასებთან შედარებით 9.0 პროცენტით არის გაზრდილი).

### სახელმწიფო მოხმარება

2007 წლის II კვარტალის ნომინალური მაჩვენებლით, სახელმწიფო მოხმარება, I კვარტალთან შედარებით, 24.9 პროცენტით გაიზარდა. იგივე მაჩვენებელი 2007 წლის პირველ ნახევარში 74.3 პროცენტით არის გაზრდილი 2006 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. სახელმწიფო სექტორის ხარჯების ძირითადი ნაწილი შიდა მოთხოვნის ფორმირებაზე ახლენს შეგავლენას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გაწეული ხარჯების ნაწილი კონვერტაციის შემდეგ საქონლის იმპორტზე იხარჯება.

### ინვესტიციები

2007 წლის II კვარტალში მთლიანი კაპიტალის ფორმირება 1172.3 მლნ ლარს შეადგენს და 41.3 პროცენტით აღემატება 2006 წლის შესაბამის მონაცემს. შესაბამისად, 2006 წლის II კვარტალიდან 2007 წლის II კვარტალამდე პერიოდში მთლიანი ინვესტიციების წილი მშპ-ში 24.7 პროცენტიდან 28.6 პროცენტამდე გაიზარდა. სულ, 2007 წლის პირველ ნახევარში კაპიტალის ფორმირება ნომინალური გამოხატულებით 30.0 პროცენტით არის გაზრდილი 2006 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა 2007 წლის II კვარტალში 370.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 22.6 პროცენტით აღემატება 2006 წლის შესაბამისი კვარტალის მონაცემს. უცხოური ინვესტიციების მკვეთრი მაგება ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებით და პრივიტიზაციის წარმატებული პროცესით არის განპირობებული.


უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი ნაკადი შემდეგი ქვეყნებიდან შემოვიდა: ჩეხეთი (19.9 პროცენტი), ყაზახეთი (17.1 პროცენტი), ნიდერლანდები (11.3 პროცენტი), აშშ (10.4 პროცენტი), ვირჯინიის კუნძულები (8.4 პროცენტი), თურქეთი (7.9 პროცენტი), რუსეთი (5.5 პროცენტი).

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მკვეთრი მაგება ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო, რომელიც ეროვნულ ვალუტაზე ძალაღმთხოვნას და სავალუტო ბაზარზე ლარის კურსის გამყარებას განაპირობებდა.



ბრაზიკი 2.5.7

სახელმწიფო ბიუჯეტის მილიანი შემოსავლები სახეობის მიხედვით  
2007 წ., იანვარ-სექტემბერი



ცხრილი 2.5.3

2007 წლის II კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებულ რეალური დაბატებული ღირებულება 2006 წლის II კვარტალთან შედარებით (პროცენტში)

	რეალური დაბატებული ღირებულება
სოფლის მეურნეობა	129.3
მრეწველობა	103.2
მშენებლობა	79.6
ვაჭრობა	111.9
სასტუმროები და რესტორნები	102.6
გრანსპორტი და კავშირგაბმულობა	135.2
საფინანსო უკავშირეობა	94.7
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	127.5
განათლება	133.8
ჯანდაცვა	67.2
სულ	119.5

ცხრილი 2.5.4

2007 წლის II კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2006 წლის II კვარტალთან შედარებით (პროცენტში)

	ნომინალური ხელფასი
სოფლის მეურნეობა	147.6
სამთავროებში მრეწველობა	187.9
გადასამუშავებელი მრეწველობა	126.5
ელ. ენერჯის, აირისა და წყლის წარმოება/განაწილება	143.5
მშენებლობა	135.5
ვაჭრობა	154.1
სასტუმროები და რესტორნები	138.4
გრანსპორტი, კავშირგაბმულობა	138.7
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	124.7
განათლება	118.6
ჯანდაცვა	127.3
სულ	135.3

2007 წლის ცხრა თვეში, დაახლოებით, 405 მლნ ლარით გაიზარდა საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული მთავრობის დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, რაც ბრუნვაში ფულის მასის შემცირებას განაპირობებდა.

შრომის პროდუქტიულობა, ხელფასები

2007 წლის II კვარტალში აღინიშნა საშუალო ხელფასის ღირებულების მნიშვნელოვანი მატება. კერძოდ, 2006 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საშუალო ნომინალური ხელფასი გაიზარდა 35.4 პროცენტით. ხელფასების ზრდა მოხდა ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში. 2007 წლის II კვარტალში დაქირავებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა ოფიციალურ ეკონომიკაში 356.8 ლარი<sup>1</sup> შეადგინა.

2007 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ერთ დასაქმებულზე წარმოებული დაბატებული ღირებულების რეალური ზრდა 19.5 პროცენტს შეადგენდა. კერძოდ, ზრდის მაღალი ტემპები დაფიქსირდა სოფლის მეურნეობის, გრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, სახელმწიფო მმართველობისა და განათლების სექტორებში.

2007 წლის II კვარტალში საშუალო ხელფასის წლიური ზრდის ტემპი აღემატებოდა ერთ დასაქმებულზე წარმოებული დაბატებული ღირებულების რეალურ ზრდას, რაც ინფლაციის ხელშემწყობი ფაქტორი იყო.

<sup>1</sup> წყარო: საწარმო და შრომის მიმდინარე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

# 3

## ინფლაციის პროგნოზი

ინფლაციის პროგნოზირებისათვის, მოდელში შემავალი ცვლადების შესახებ შემდეგი დაშვებები გაკეთდა:

- ფართო ფული უცხოური ანაბრების გარეშე (M2) წლიურად მიმდინარე წლის დეკემბრისათვის 50 პროცენტით გაიზრდება, თუკი კვლავ გაგრძელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარის ამოღება და არ გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი. სავარაუდოდ, 2008 წლის ბოლომდე შენარჩუნდება ფულის ამ აგრეგატის 50 პროცენტით ზრდა, რაც, შესაძლებელია, მომავალ წელს, მოსალოდნელი კაპიტალის შემოდინების პირობებში, პესიმისტური სცენარით განვითარდეს;
- მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური ზრდა 2007 წელს 12.5 პროცენტს, ხოლო 2008 წელს 8.8 პროცენტს გაუტოლდება, რაც დარგობრივი მაჩვენებლების კვარტალური ზრდის გენდენციებს ეყრდნობა;
- ეინაიდან გაცვლის კურსი, ზოგადად, კარგად აღიწერება შემთხვევითი „ხეციალის“ პროცესით, მომავალი წლისათვის დაეუშვით, რომ იგი არ შეიცვლება;
- მიმდინარე წელი, გასული წლისგან განსხვავებით, კარგი მოსავლიანობით ხასიათდებოდა, ამიგომ, ჩვენი დაშვებით, ხილ-ბოსტნეულის ფასი დეკემბრის ბოლოსთვის, წინა წელთან შედარებით, არ შეიცვლება; ხოლო, რაც შეეხება მომავალ წელს, შედარებით პესიმისტური დაშვებით, ხილ-ბოსტნეულის ფასების წლიური ზრდა 10 პროცენტს მიაღწევს;
- სხვადასხვა საერთაშორისო წყაროების თანახმად, ნავთობის მსოფლიო ფასი შემცირდება, რაც მზარდი მიწოდებით იქნება განპირობებული.

მოდელის შესაფასებლად გამოყენებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდი და მიღებულ განტოლებას შემდეგი სახე აქვს:

$$\begin{aligned} \delta p = & 0,066\delta e + 0,085\delta e_{-2} + 0,04\delta m_{-1} + 0,023\delta m_{-2} + 0,011\delta p^{oil} + \\ & + 0,112\delta p^{food} - 0,014e_{cm} - 0,005DUM3 - 0,005DUM7 + \\ & + 0,003DUM8 + 0,004DUM11 + 0,007DUM10 - 0,004DUM5 - \\ & - 0,005DUM6 + 0,006DUM12 + 0,1D9812 + 0,034D0311 + \\ & + 0,01D0501 \end{aligned}$$

სადაც:

p არის ინფლაცია;

m – ფულის მასა;

e – ლარის/აშშ დოლართან გაცვლის კურსი;

$p^{oil}$  – ნავთობის საშუალო ფასი მსოფლიოში;

$p^{food}$  – ხილ-ბოსტნეულის ფასები;

DUMn – გადაგვარებული ცვლადი, n თვის სემონურობის გამოსარიცხავად;

D9812 – გადაგვარებული ცვლადი, რუსეთის კრიზისის გამოსარიცხავად;

D0311 – გადაგვარებული ცვლადი, 2003 წლის ნოემბრის გამოსარიცხავად;

D0501 – გადაგვარებული ცვლადი, 2005 წელს ბუნებრივი აირის გაძვირების აღსაწერად;

ecm გრძელვადიანი წონასწორობის აღმწერი ცვლადია და მას შემდეგი სახე აქვს:

$$ecm = p_{-1} - 0,2e_{-1} - 0,8m_{-1} + 1,23y_{-1} - 7,09$$

სადაც:

y არის მთლიანი შიდა პროდუქტი.


შემუშავებული მოდელის საშუალებით მიღებულ წლიური ინფლაციის პროგნოზს შემდეგი სახე აქვს:

მიღებული პროგნოზის მიხედვით, წლიური ინფლაცია ლექემბრის ბოლოსათვის, 20 პროცენტთან ალბათობით, 12.44-დან 12.94-მდე შეიცვლება.

საპროგნოზო პერიოდი ეყრდნობა ისტორიულ ფლუქტუაციებს და, შესაბამისად, ინფლაციის მოდელი არ ითვალისწინებს სხვა სტრუქტურული ფაქტორებით განპირობებული მერყეობის ტრადიციულზე მეტად მრდას ან შემცირებას; ასეთ არაპროგნოზირებად ფაქტორებს წარმოადგენს, მაგალითად: ქვეყანაში განვითარებული ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენების ზეგავლენა, ნავთობის ფასის არაპროგნოზირებადი ქცევა საერთაშორისო ბაზარზე, სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის დამოკიდებულება კლიმატურ პირობებზე და სხვ.

შემდგომი რამდენიმე თვის განმავლობაში, ინფლაციის პროგნოზის მიხედვით, უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გააგრძელებს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას, ვიდრე დატოვებს უცვლელს ან შეარბილებს.

ბრაზილი 3.1  
ინფლაციის პროგნოზი  
2006 წ. III კვარტალი-2008 წ. I კვარტალი



**საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის ღირებულება 2002-2007 წლებში**

ცხრილი 1


ექსპორტის მოცულობა და ზრდის ტემპი (მლნ აშშ დოლარი) 2002 წ.-2007 წ., II კვარტალი

	2002	2003	2004	2005	2006	2007*
მთლიანი ექსპორტი	345.93	461.41	646.9	865.45	992.54	543.99
ზრდის ტემპი (პროცენტი)	8.9	33.4	40.2	33.8	14.7	18.9
ექსპორტი რუსეთის გარეშე	284.80	377.46	542.37	711.73	916.89	520.54
ზრდის ტემპი (პროცენტი)	16.9	32.5	43.7	31.2	28.8	29.0

\* მოცემულია 2007 წლის I-II კვარტალების შედეგები. ზრდის ტემპი აღებულია წინა წლის ანალოგიური პერიოდის შესაბამისად.

გრაფიკი 1

საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი რუსეთში 2002-2007 წ., II კვარტალი




უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გამოიკვეთა საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის მოცულობის სწრაფი ზრდის ტენდენცია. 2007 წლის I-II კვარტალების მონაცემების მიხედვით, 2002 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქონლის ექსპორტის მოცულობა 3.7-ჯერ გაიზარდა, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით – 20 პროცენტით. საქონლის ექსპორტის ზრდის ტემპი განსაკუთრებით მაღალი იყო 2003, 2004 და 2005 წლებში და, შესაბამისად, 33, 40 და 34 პროცენტი შეადგინა. 2006 წლის აპრილიდან რუსეთის მიერ საქონლის ექსპორტზე დაწესებულმა ემბარგომ უარყოფითი გავლენა მოახდინა ღვინის, მინერალური წყლებისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის ექსპორტზე, რამაც ზრდის ტემპის ნაწილობრივ შენელება გამოიწვია. ამის შედეგად, 2006 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 15 პროცენტამდე შემცირდა, თუმცა, 2007 წელს გამოიკვეთა ვითარების გაუმჯობესების ტენდენცია. კერძოდ, 2007 წლის II კვარტალში საქონლის ექსპორტის ზრდის ტემპმა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 35.1 პროცენტი შეადგინა.

2006 წლის II კვარტალში, რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესებამდე, ექსპორტის მოცულობის მიხედვით, საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის რუსეთი პირველ ადგილზე იყო. მისი წილი საქონლის ექსპორტში 2006 წლის I კვარტალში 20 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2006 წლის საშუალო წლიური მონაცემით 8 პროცენტამდე შემცირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 10 პროცენტული პუნქტით, ხოლო აბსოლუტური მნიშვნელობით – ნახევარზე ნაკლებია. 2007 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ეს რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა და 4 პროცენტს შეადგენს. 2007 წლის ორი კვარტალის მონაცემებით, რუსეთმა, საქონლის ექსპორტის მიხედვით, მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა.

საგულისხმოა, რომ რუსეთის ემბარგომ უარყოფითად იმოქმედა მხოლოდ საქონლის გარკვეულ ჯგუფებზე: კერძოდ, ყველაზე მეტად დაზარალდა ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი. ღვინის წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 2002-2005 წლების განმავლობაში 10 პროცენტს არ აღემატებოდა, ხოლო მინერალური წყლებისა – 5 პროცენტს. 2005 წელს


ბრაზიპო 2

ღვინის ექსპორტის ღონისძიება  
2002-2007 წწ., II კვარტალი




ბრაზიპო 3

მინერალური წყლების ექსპორტის ღონისძიება  
2002-2007 წწ., II კვარტალი



ბრაზიპო 4

თხილის ექსპორტის ღონისძიება  
2002-2007 წწ., II კვარტალი



რუსეთში საქსპორტოლ 56.7 ათასი ტონა ღვინო შევიდა, რომლის ღირებულებაც 63 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რუსეთში ექსპორტირებული ღვინის ღირებულებითი წილი ღვინის მთლიან ექსპორტში 2002-2005 წლების განმავლობაში 74-77 პროცენტს შორის მერყეობდა, მაშინ, როდესაც რაოდენობრივი წილი 85-87 პროცენტს შეადგენდა. საფარავლოა, რომ რუსეთში ექსპორტირებული ღვინო შედარებით დაბალფასიანი იყო. მისი საშუალო ფასი, დაახლოებით, 10 პროცენტით ნაკლებია მთლიანად ექსპორტირებული ღვინის საშუალო ფასზე. ამრიგად, ემბარგოს დაწესებამდე ღვინის ექსპორტი მთლიანი ექსპორტის, დაახლოებით, 10 პროცენტს შეადგენდა და, 2005 წლის მონაცემით, მეორე პოზიცია ეკავა. 2007 წლის ორი კვარტალის მაჩვენებლებით კი, მისი წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში მხოლოდ 2.2 პროცენტია. დანარჩენ ქვეყნებში (რუსეთის გარდა) ღვინის ექსპორტი, 2007 წლის ორი კვარტალის მონაცემით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 12.8 პროცენტით გაიზარდა.

2005 წლის მონაცემებით, მინერალური წყლების რეგისტრირებული ექსპორტის მთლიანი მოცულობის თითქმის 73 პროცენტი რუსეთის ბაზარზე მოდიოდა. 2006 წლის I კვარტალში სულ ექსპორტირებულ იქნა 11.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია, ხოლო 2007 წლის I კვარტალში ეს მაჩვენებელი 5.7 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემზე თითქმის 2-ჯერ ნაკლებია და მცირედი თანხა 2005 წლის I კვარტალის შესაბამის მაჩვენებელს, თუმცა, შესაძლებელი გახდა რუსეთში ექსპორტირებული მინერალური წყლების ნაწილობრივ გადამისამართება სხვა ქვეყნებში და ემბარგოს შემდგომ აღინიშნება მინერალური წყლების ექსპორტის სწრაფი ზრდის ტენდენცია. 2007 წლის II კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, მისი ზრდის ტემპი 17 პროცენტს გაუტოლდა. გაიზარდა პროდუქციის საშუალო საქსპორტო ფასიც. 2007 წლის I და II კვარტალებში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დანარჩენ ქვეყნებში (რუსეთის გარდა) ექსპორტირებულმა პროდუქციამ 12.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 56 პროცენტით აღემატება.

რაც შეეხება თხილის ექსპორტს, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საქართველოს ექსპორტში, და რომელშიც რუსეთის მნიშვნელოვანი წილი ჰქონდა, 2005 წელს ექსპორტირებული თხილის მთლიანი მოცულობის თითქმის 20 პროცენტი და რაოდენობის 25 პროცენტი, რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით, ემბარგოს შემდეგ არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევ. თუ 2005 წელს თხილის ექსპორტი 10.0 ათას ტონას შეადგენდა (აქედან, რუსეთში 2.5 ათასი ტონა გადიოდა), 2006 წელს ექსპორტირებულ იქნა

12.6 ათასი გონა (რუსეთში – 0.7 ათასი გონა) თხილი, ხოლო 2007 წლის I და II კვარტალებში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მისი ექსპორტი კიდევ 6 პროცენტით გაიზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თხილზე ფასის შემცირების გამო, ღირებულებითი გამოსახულების მიხედვით, ადგილი აქვს მისი ექსპორტის კლებას. საქართველოდან თხილი ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებსა და უკრაინაში გადის.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ემბარგოს გავლენა არ მოუხდენია ფეროშენადნობების ექსპორტზე, რომლის წილიც სტაბილურად მაგვლობს, როგორც რუსეთთან, ასევე მთლიან ექსპორტში და, მიმდინარე წლის ორი კვარტალის მონაცემით, ამ საქონელს პირველი პოზიცია უჭირავს. 2007 წლის ორ კვარტალში რუსეთში 10.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ფეროშენადნობები გავიდა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 8 პროცენტით აღემატება. ამავე პერიოდში ფეროშენადნობების მთლიანი ექსპორტი 52 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში თითქმის 10 პროცენტს უტოლდებოდა.

რუსეთის ემბარგოს უარყოფითი გავლენის განეიტრალება შესაძლებელი გახდა სასაქონლო ჯგუფზე „სპირტიანი სასმელები“, რომლის ექსპორტში გასული წლის I კვარტალში რუსეთის წილი შეადგენდა 66 პროცენტს, ანუ 5.55 მლნ აშშ დოლარს. ემბარგოს შედეგად ამ საქონლის ექსპორტი კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა და 2007 წლის I კვარტალში დაფიქსირდა 38-პროცენტიანი მაგება, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მიმდინარე წლის II კვარტალში აღნიშნული საქონლის ექსპორტის მრდის ტემპმა 23 პროცენტი შეადგინა წინა კვარტალთან შედარებით.

ემბარგოს შემდგომ პერიოდში საქართველოს ძირითად საექსპორტო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი პოზიცია თურქეთმა დაიკავა. ცხრილ 2-ში მოცემულია რეგისტრირებული ექსპორტის დინამიკა რეგიონების მიხედვით.

ამრიგად, ემბარგოს დაწესებამდე რუსეთი ლიდერობდა საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის. ემბარგოს წინა პერიოდის, ანუ 2005 წლისა და 2006 წლის I კვარტალის მონაცემებით, რუსეთში ექსპორტირებული ძირითადი საქონელი იყო: ყურძნის ნაგურალური ღვინოები, მინერალური წყლები, ფეროშენადნობები, „სპირტიანი სასმელები“ და თხილი, რომელთა ჯამური წილი მთლიან ექსპორტში 90 პროცენტამდე აღწევდა. როგორც აღინიშნა, 2007 წლის პირველი ნახევრის ბოლოს, ბაზრის დივერსიფიკაციის მეშვეობით, ემბარგოს უარყოფითი შედეგების განეიტრალება ნაწილობრივ შესაძლებელი გახდა მინერალური წყლების, „სპირტიანი სასმელებისა“ და

ცხრილი 2  
რეგისტრირებული ექსპორტის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)

	2002	2003	2004	2005	2006	2007*	% მრდ 2007 I, II კვ./2006 წ. I, II კვ.
ევროკავშირის ქვეყნები	59.03	77.75	101.86	149.10	168.42	80.64	22.7
ღსო-ის ქვეყნები	168.70	224.83	327.64	407.17	394.73	211.15	-3.9
თურქეთი	53.74	82.55	118.61	121.86	124.92	82.06	84.1
სხვა	64.47	76.27	98.80	187.32	304.48	170.14	33.6
სულ	345.93	461.41	646.90	865.45	992.54	543.99	18.9

\* მოცემულია 2007 წლის ორი კვარტალის მონაცემები.

თხილის ექსპორტთან დაკავშირებით. მართალია, მინერალური წყლების ექსპორტი 2005 წლის პირველ ნახევარში 53.7 ათას ტონას შეადგენდა, რაც თითქმის 2-ჯერ აღემატება 2007 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს, მაგრამ მინერალური წყლების ექსპორტის მთლიანმა მოცულობამ, გაზრდილი საშუალო ფასის ხარჯზე, 2007 წლის პირველ ნახევარში, 2005 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 86 პროცენტი შეადგინა. ფეროშენადნობების ექსპორტს რუსეთის ემბარგო არ შეხება. გაცილებით მძიმეა შედეგები ყურძნის ნაგურალური ღვინის ექსპორტთან დაკავშირებით. ახალი ბაზრების მოძიების პროცესი, სავარაუდოდ, უფრო ხანგრძლივი იქნება. როგორც აღინიშნა, რუსეთში ექსპორტირებული ღვინო შედარებით დაბალფასიანი იყო, ახალი ბაზრების დასაპყრობად კი ღვინის წარმოების გადახალისება უნდა მოხდეს.

„ინფლაციის მიმოხილვა“ გამოსაცემად მომზადდა საქართველოს ეროვნულ ბანკში.

0105, თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N3/5